2025 წლის 23 დეკემბერს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ეთნოლოგმა **როლანდ თოფჩიშვილმა** წარმოადგინა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ქართული გვარსახელები ისტორიულ და ეთნოლინგვისტურ ჭრილში“ (FR-23-10637), ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შუალედური ანგარიში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.